





**EEC67310L**

<b>KA</b> მომხმარებლის სახელმძღვანელო   ჭურჭლის სარეცხი მანქანა	<b>3</b>
<b>RU</b> Инструкция по эксплуатации   Посудомоечная машина	<b>31</b>



# მონტაჟი / МОНТАЖ



YouTube

[www.youtube.com/electrolux](http://www.youtube.com/electrolux)  
[www.youtube.com/aeg](http://www.youtube.com/aeg)

How to install your AEG/Electrolux  
60 cm sliding door dishwasher



# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება Electrolux-ში! მაღლობას გიხდით ჩვენი დანადგარის არჩევისათვის.



მიიღეთ მოხმარების შესახებ რჩევები, ბროშურები, პრობლემის დროს დახმარება, სერვისისა და შეკეთების შესახებ ინფორმაცია:  
[www.electrolux.com/support](http://www.electrolux.com/support)

ექვემდებარება შეცვლას წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

## შინაარსი

1. უსაფრთხოების ინფორმაცია.....	3
2. უსაფრთხოების ინსტრუქციები.....	5
3. პროდუქტის აღწერა.....	7
4. კონტროლის პანელი.....	8
5. პროგრამების არჩევა.....	8
6. ძირითადი პარამეტრები .....	11
7. პირველად გამოყენებამდე.....	15
8. ყოველდღიური გამოყენება.....	16
9. მინიშნებები და რჩევები.....	20
10. მოვლა და დასუფთავება.....	22
11. პრობლემის აღმოფხვრა.....	25
12. ტექნიკური მონაცემები .....	29
13. გარემოსდაცვითი პრობლემები.....	30

## 1. ⚠ უსაფრთხოების ინფორმაცია

მოწყობილობის დამონტაჟებამდე და მოხმარებამდე, ყურადღებით წაიკითხეთ მოწოდებულ ინსტრუქციებს. მწარმოებელი უსაფრთხოების ინფორმაციას არ არის არასწორი მონტაჟის ან მოხმარების დროს მიყენებულ რაიმე სახის ზიანზე. ყოველთვის იქონიეთ ინსტრუქციები უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ადგილზე მომავალი გამოყენებისთვის.

### 1.1 ბავშვებისა და დაუცველი ადამიანების უსაფრთხოება

- ამ მოწყობილობის გამოყენება შეუძლიათ ბავშვებს 8 წლის ასაკიდან და შეზღუდული ფიზიკური, გრძნობითი ან მენტალური შესაძლებლობის მქონე ან გამოუცდელ პიროვნებებს, თუ მათ მიეცემათ მითითებები მოწყობილობის გამოყენებასთან

დაკავშირებით უსაფრთხო გზით და გაიაზრებენ დაკავშირებულ საფრთხეებს. 8 წლამდე ასაკის ბავშვები და მნიშვნელოვნად უნარშეზღუდული პირები უნდა მოერიდონ მოწყობილობასთან სიახლოვეს ან გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ.

- ბავშვები უნდა იყვნენ ზედამხედველობის ქვეშ, რათა არ ითამაშონ მოწყობილობით.
- იქონიეთ სარეცხი საშუალება ბავშვებისგან მოშორებით.
- მოაშორეთ ბავშვები და შინაური ცხოველები მოწყობილობას, როცა კარი ღიაა.
- ბავშვებმა არ უნდა დაასუფთაონ და მოიხმარონ მოწყობილობა უფროსების ზედამხედველობის გარეშე.

## 1.2 ზოგადი უსაფრთხოება

- ეს მოწყობილობა განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ტიპის ჭურჭლისა და სამაგიდო აღჭურვილობის გასაწმენდად.
- ეს მოწყობილობა განკუთვნილია ერთი ოჯახის მიერ შინ გამოსაყენებლად დახურულ სივრცეში.
- ეს მოწყობილობა შეიძლება გამოიყენებოდეს ოფისებში, სასტუმროს ნომრებში, B&B-ს ნომრებში, საოჯახო ფერმის ტიპის სასტუმროებსა და სხვა მსგავს საცხოვრებლებში, სადაც ასეთი გამოყენება არ სცდება (საშუალო) საყოფაცხოვრებო მოხმარების დონეებს.
- არ შეცვალოთ ამ მოწყობილობის სპეციფიკაცია.
- წყლის სამუშაო წნევა (მინიმუმი და მაქსიმუმი) 0.05 (0.5) / 1 (10) მპა-ს (ბარის) დიაპაზონში უნდა იყოს.
- მიჰყევით მაქსიმალური ოდენობის 14 ადგილის პარამეტრებს.
- წაბორძიკების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მოწყობილობის კარი ღია მდგომარეობაში არ უნდა დარჩეს.
- თუ კვების სადენი დაზიანებულია, მისი შეცვლა უნდა მოხდეს მწარმოებლის, მისი ავტორიზებული სერვის

ცენტრის ან მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული ელექტრობასთან დაკავშირებული საფრთხე.

- გაფრთხილება: დანები და სხვა ბასრპირიანი ჭურჭელი კალათში წვერით დაბლა ან ჰორიზონტალურ პოზიციაში უნდა მოთავსდეს.
- ნებისმიერი მოვლის ოპერაციამდე, გათშეთ მოწყობილობა და გამორთეთ შტეფსელი როზეტიდან.
- არ გამოიყენოთ მაღალი წნევის წყლის სპრეი და/ან ორთქლი მოწყობილობის გასაწმენდად.
- თუ მოწყობილობის სავენტილაციო ხვრელები მის ფსკერზეა განლაგებული, იგი არ უნდა დაფაროთ, მაგალითად, ხალიჩით.
- მოწყობილობა წყლის ქსელთან ახლად მოწოდებული მილების კომპლექტების საშუალებით უნდა დაკავშირდეს. ძველი შლანგები არ უნდა იქნას ხელახლა გამოყენებული.

## 2. უსაფრთხოების ინსტრუქციები

### 2.1 მონტაჟი

#### გაფრთხილება!

ეს მოწყობილობა მხოლოდ კვალიფიცირებულმა სპეციალისტმა უნდა დააყენოს.

- მოხსენით ყველა შეფუთვა.
- არ დაამონტაჟოთ და არ გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.
- მიჰყევით დამონტაჟების ინსტრუქციებს, რომელიც მოწყობილობას მოჰყვა.
- ყოველთვის იყავით ფრთხილად მოწყობილობის გადატანისას, რადგან მძიმეა. ყოველთვის გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები და თანდართული ფეხსაცმელი.
- არ დააყენოთ და არ გამოიყენოთ მოწყობილობა იქ, სადაც ტემპერატურა 0 °C-ზე დაბალია.
- დაამონტაჟეთ მოწყობილობა უსაფრთხო და შესაფერის ადგილზე,

რომელიც აკმაყოფილებს ინსტალაციის მოთხოვნებს.

- ნუ გამოიყენებთ მოწყობილობას ინსტალაციის ინსტალაციამდე.
- სხეულის დაზიანების რისკის თავიდან ასაცილებლად, ფრთხილად გააღეთ მოწყობილობის კარი, თუკი ავეჯის პანელი არ არის დამონტაჟებული. დამონტაჟების შემდეგ, დარწმუნდით, რომ პლასტმასის საფარები ადგილზე მყარადაა ჩამაგრებული. კარის გვერდებზე არსებული პლასტმასის საფარების დაზიანებამ ან მოხსნამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოწყობილობის ფუნქციონალზე და შესაძლოა გამოიწვიოს სხეულის დაზიანება. პლასტმასის საფარის დაზიანების შემთხვევაში, დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის-ცენტრს, რათა იგი ახლით ჩაანაცვლოთ.

## 2.2 ელექტრო კავშირი

### ⚠ გარფთხილება!

ხანძრისა და დენის დარტყმის რისკი.

- გაფრთხილება: აღნიშნული მოწყობილობა განკუთვნილია შენობის დამიწებულ კავშირებთან დასამონტაჟებლად / შესაერთებლად.
- დარწმუნდით, რომ სპეციფიკაციის იარაღიყზე მითითებული პარამეტრები თავსებადია ძირითადი დენის წყაროს ელექტრო სპეციფიკაციებთან.
- ყოველთვის გამოიყენეთ სწორად დაყენებული დარტყმაგამძლე ბუდე.
- არ გამოიყენოთ მარავალშესაერთებლიანი გადამყვანები და დამაგრძელებლები.
- დარწმუნდით, რომ არ აზიანებთ შტეფსელსა და სადენს. თუ სადენის შტეფსელს არის საჭირო, ეს უნდა მოახდინოს ჩვენმა ავტორიზებულმა სერვის ცენტრმა.
- შტეფსელი როზეტთან დააკავშირეთ მხოლოდ მონტაჟის ბოლოს.
- დარწმუნდით, რომ როზეტთან წვდომა არის დამონტაჟების შემდეგ.
- არ მოქაჩოთ კაბელს მოწყობილობის გამოსართავად. ყოველთვის გამოსწიეთ შტეფსელი.

## 2.3 წყლის დაკავშირება

### ⚠ გარფთხილება!

დენის დარტყმის რისკი.

- არ გააფუჭოთ წყლის შლანგები.
- ახალ მილებთან შეერთებამდე, მილებში, რომლებიც დიდი ხანია არ გამოყენებულა, გარემონტდა ან ახალი აპარატები დაყენდა (წყლის მრიცხველი და ა.შ.), გაუშვით წყალი სანამ წმინდა და სუფთა არ გახდება.
- დარწმუნდით, რომ მოწყობილობის პირველი გამოყენების დროს და შემდეგ წყლის ჟონვა არ შეიმჩნევა.
- წყლის შემშვები შლანგის დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაკეტეთ ონკანი და გამოაერთეთ ელექტროჩანგალი შტეფსელიდან. წყლის შემშვები შლანგის გამოსაცვლელად დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვისცენტრს.

- ელექტროენერჯის გარეშე წყლის დაცვის სისტემა არ არის აქტიური. ამ შემთხვევაში არსებობს დატბორვის რისკი.
- წყლის შემშვებ შლანგს აქვს უსაფრთხოების სარკველი და ბუდე, რომელშიც შიდა ქსელის კაბელია.

## 2.4 გამოყენება

- არ დადოთ აალეხადი პროდუქტი, ან სველი საგნები აალეხად პროდუქტებთან ერთად მოწყობილობაში, მოწყობილობაზე ან მასთან ახლოს.
- ჭურჭლის სარეცხი მანქანის სარეცხი საშუალებები საშიშია. მიჰყევით სარეცხი საშუალების შეფუთვაზე არსებულ უსაფრთხოების ინსტრუქციებს.
- ნუ დალევთ და ითამაშებთ მოწყობილობაში არსებული წყლით.
- პროგრამის დასრულებამდე ჭურჭელს მოწყობილობიდან ნუ გამოიღებთ. ზოგიერთი სარეცხი საშუალება, შესაძლოა, დარჩეს ჭურჭელზე.
- მოწყობილობაში ნუ შეინახავთ საგნებს ან ძალის გამოყენებით დააწვებით მის გახსნილ კარს.
- პროგრამის მუშაობის განმავლობაში მოწყობილობის კარის გახსნის შემთხვევაში, შესაძლოა ცხელი ორთქლი გამოიყოს.

## 2.5 სერვისი

- მოწყობილობის შესაკეთებლად დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს. გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი სათადარიგო ნაწილები.
- გაითვალისწინეთ, რომ თვით-შეკეთებას ან არაპროფესიონალურ რემონტს შეუძლია საფრთხის შემცველი შედეგების განპირობება და შესაძლოა გააუქმოს გარანტია.
- მოდელის წარმოების შეწყვეტიდან სულ მცირე 7 წლის განმავლობაში შემდეგი სათადარიგო ნაწილებია ხელმისაწვდომი: ძრავი, ცირკულაციისა და დრენაჟის ტუმბო, გამათბობელი და გამათბობელი ელემენტები, მათ შორის გამათბობელი ტუმბოები, მილები და შესაბამისი აღჭურვილობა, მათ შორის შლანგები, სარკველები, ფილტრები და წყლის შემავაკებლები, კარის

- აწყობისთვის საჭირო სტრუქტურული და შიდა ნაწილები, ნაბეჭდი პლანები, ელექტრონული ეკრანები, წნევის გადამრთველები, თერმოსტატები და სენსორები, პროგრამული და ჩაშენებული პროგრამული უზრუნველყოფები, მათ შორის, პარამეტრების ჩამოყრის პროგრამა. მოდელის წარმოების შეწყვეტიდან სულ მცირე 10 წლის განმავლობაში შემდეგი სათადარიგო ნაწილებია ხელმისაწვდომი: კარის ანჯამები და მამჭიდროებლები, სხვა მამჭიდროებლები, სასხურებელი მკლავები, დრენაჟის ფილტრები, შიდა თაროები და პლასტმასის მაკომპლექტებული ნაწილები, როგორცაა კალათები და თავსახურები. თქვენს ქვეყანაში ეს პერიოდი შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-საიტს.
- გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ხელმისაწვდომია პროფესიონალ შემკეთებელთან და რომ ყველა სათადარიგო ნაწილი ყველა შესაბამისი მოდელისათვის არ არის განკუთვნილი.

- პროდუქტში არსებული ნათურა(ები) და სათადარიგო ნათურის ნაწილები დამოუკიდებლად უნდა შეიძინოთ: ეს ნათურები განკუთვნილია ექსტრემალური ფიზიკური პირობებისათვის საყოფაცხოვრებო დანადგარებში, როგორც არის ტემპერატურა, ვიბრაცია, ტენიანობა და ასევე იღებენ სასიგნალო ინფორმაციას დანადგარის საოპერაციო სტატუსის შესახებ. ისინი არ არის განკუთვნილი სხვა დანადგარებში გამოყენებისათვის და საყოფაცხოვრებო ოთახების გასანათებლად.


## 2.6 განკარგვა

### ⚠ გარფთხილება!

დაზიანების ან დახუთვის რისკი.

- გამორთეთ მოწყობილობა დენის მთავარი წყაროდან.
- მოჭირით კვების კაბელი და გადააგდეთ.
- მოსწინით კარის დამჭერი, ბავშვები და შინაური ცხოველები მოწყობილობაში რომ არ ჩაიკეტონ.

## 3. პროდუქტის აღწერა



- 1 ჭერის სასხურებელი მკლავი
- 2 ზედა სასხურებელი მკლავი
- 3 ქვედა სასხურებელი მკლავი
- 4 ფილტრები
- 5 ქარხნული პასპორტი
- 6 მარლის კონტეინერი
- 7 ჰაერის ვენტილაცია

- 8 გავლების საშუალების დისპენსერი
- 9 სარცხი საშუალების დისპენსერი
- 10 ComfortLift კალათი
- 11 სასხლეტი სახელური
- 12 ქვედა კალათის სახელური
- 13 ზედა კალათი
- 14 მჭრელი ინსტრუმენტების უჯრა


### 3.1 Beam-on-Floor

Beam-on-Floor არის ნათურა, რომელიც ჩანს ძირზე, მოწყობილობის კარის ქვემოთ. იგი გათიშულია როდესაც მოწყობილობა გამორთულია.

- წითელი ნათურა ინთება მაშინ, როდესაც პროგრამა დაიწყება. პროგრამის განმავლობაში იგი კვლავ ჩართული რჩება.
- პროგრამა რომ დასრულდება, მწვანე ნათურა ჩაირთვება.

- პროგრამის ფუნქციონირების დარღვევის შემთხვევაში, წითელი ნათება აციმციმდება.

## 4. კონტროლის პანელი



- 1 ჩართა-გამორთვის დილაკი / განულების დილაკი
- 2 დაყოვნებული დაწყების დილაკი
- 3 დისპლეი
- 4 MY TIME პროგრამის არჩევის ზოლი
- 5 ფუნქციების ასარჩევი დილაკები (EXTRAS)
- 6 AUTO Sense პროგრამის დილაკი

მონმარებაზე. რაც მეტი ზოლია ანთებული, მით უფრო ნაკლებია მონმარება. ECO მიუთითებს ეკოლოგიურად ყველაზე ეფექტურ პროგრამას ზომიერად ჭუჭყიანი ჭურჭლის გასარეცხად.



### 4.1 ECOMETER

ECOMETER მიუთითებს, როგორ აისახება პროგრამის არჩევანი ენერჯისა და წყლის


### 4.2 ინდიკატორები დისპლეიზე


ინდიკატორი	აღწერა
	გავლების საშუალების ინდიკატორი. ირთვება მაშინ, როდესაც საჭიროა გავლების საშუალების დისპენსერის შევსება. იხილეთ პირველად გამოყენებამდე.
	მარილის ინდიკატორი. ირთვება მაშინ, როდესაც საჭიროა მარილის კონტეინერის შევსება. იხილეთ პირველად გამოყენებამდე.
	Machine Care ინდიკატორი. ის ირთვება, როცა მოწყობილობას სჭირდება შიდა გაწმენდა პროგრამით Machine Care. იხილეთ მოვლა და დასუფთავება.
	გაშრობის ფაზის ინდიკატორი. ჩართულია თქვენ მიერ გაშრობის ფაზიანი პროგრამის არჩევისას. ციმციმებს გაშრობის ფაზის მუშაობის განმავლობაში. იხილეთ პროგრამების არჩევა.

## 5. პროგრამების არჩევა

### 5.1 MY TIME

ხანგრძლივობის საფუძველზე, აირჩიეთ შესაბამისი პროგრამა.





- A. • **Quick** ყველაზე მოკლე პროგრამაა (30min), რომელიც განკუთვნილია ახალი და ოდნავ დასვრილი ჭურჭლის გასარეცხად.
-  **წინასწარ წყლის გავლება (15min)** არის ჭურჭლიდან საკვების ნარჩენების ჩამოსარეცხი პროგრამა. მისი მეშვეობით მოწყობილობაში სუნი არ წარმოიქმნება. ამ პროგრამასთან კომბინაციაში ნუ გამოიყენებთ სარეცხ საშუალებას.
- B. **1h** არის ჭურჭლიდან ახალი და ოდნავ მიმხმარი ჭურჭლის ჩამოსარეცხი პროგრამა.
- C. **1h 30min** არის ზომიერად დასვრილი ჭურჭლის გასარეცხი და გასაშრობი პროგრამა.
- D. **2h 40min** არის ძალიან დასვრილი ჭურჭლის გასარეცხი და გასაშრობი პროგრამა.
- E. **ECO** არის ყველაზე გრძელი პროგრამა, რომელიც ენერჯისა და წყლის მოხმარების ყველაზე ეფექტურ ვარიანტს გთავაზობთ როგორც ჭურჭლის, ისე დანა-ჩანგლისა და კოვზებისთვის, რომლებიც ზომიერად დასვრილია. <sup>1)</sup>


ხარისხს და სარეცხის ოდენობას. ის არეგულირებს, როგორც წყლის ტემპერატურასა და ოდენობას, ისე ჭურჭლის რეცხვის ხანგრძლივობას.

### 5.3 EXTRAS

საჭიროებისამებრ, დაარეგულირეთ პროგრამის არჩევანი, რისთვისაც უნდა გაააქტიუროთ EXTRAS.

 ExtraHygiene უზრუნველყოფს უკეთეს შედეგებს ჰიგიენის კუთხით, რადგან საბოლოო წყლის გავლების ფაზაში მინიმუმ 10 წუთით ინარჩუნებს ტემპერატურას 65-დან 70 °C -მდე.


 ExtraPower აუმჯობესებს ჭურჭლის რეცხვის არჩეული პროგრამის შედეგებს. ვარიანტი ზრდის რეცხვის ტემპერატურასა და ხანგრძლივობას.

 GlassCare მსხვერველ ნივთებს, კერძოდ, მინის ჭურჭელს დაზიანებისგან იცავს. აღნიშნული ფუნქცია არჩეულ პროგრამაში ჭურჭლის რეცხვის ტემპერატურის სწრაფი ცვლილებების პრევენციას ახდენს და მას 45 °C-მდე ამცირებს.

## 5.2 AUTO Sense

აღნიშნული პროგრამით, ჭურჭლის სარეცხი მანქანა აღიქვამს დაბინძურების

## 5.4 პროგრამების მიმოხილვა

პროგრამა	ჭურჭლის სარეცხი მანქანის ჩატვირთვა	დაბინძურების ხარისხი	პროგრამის ფაზები	EXTRAS
Quick	თიხის ჭურჭელი, დანა-ჩანგალი	ახალი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჭურჭლის რეცხვა 50 °C</li> <li>• შუალედური გავლება</li> <li>• საბოლოო გავლება 45 °C</li> <li>• AirDry <sup>1)</sup></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ExtraPower</li> <li>• GlassCare</li> <li>• ExtraHygiene</li> </ul>
 წინასწარ წყლის გავლება	ყველაფერი	ყველაფერი	<ul style="list-style-type: none"> <li>• წინასწარი რეცხვა</li> </ul>	არ შეესაბამება

<sup>1)</sup> აღნიშნული წარმოადგენს სტანდარტულ პროგრამას საგამოცდო ინსტიტუტებისთვის. ეს პროგრამა ეკოლოგიის მარეგულირებელი კომისიის (EU) 2019/2022 შესაბამისობის შესაფასებლად გამოიყენება.

პროგრამა	ჭურჭლის სარეცნი მანქანის ჩატვირთვა	დაბინძურების ხარისხი	პროგრამის ფაზები	EXTRAS
1h	თინის ჭურჭელი, დანა-ჩანგალი	აბალი, ოდნავ შემშრალი	<ul style="list-style-type: none"> <li>ჭურჭლის რეცხვა 60 °C</li> <li>შუალედური გავლება</li> <li>საბოლოო გავლება 55 °C</li> <li>AirDry <b>1)</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ExtraPower</li> <li>GlassCare</li> <li>ExtraHygiene</li> </ul>
1h 30min	ჭიქა-საინი, დანები, ჩანგლები, კოვზები, ქვაბები, ტაფები	ნორმალური, ოდნავ შემშრალი	<ul style="list-style-type: none"> <li>ჭურჭლის რეცხვა 60 °C</li> <li>შუალედური გავლება</li> <li>საბოლოო გავლება 50 °C</li> <li>გაშრობა</li> <li>AirDry <b>1)</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ExtraPower</li> <li>GlassCare</li> <li>ExtraHygiene</li> </ul>
2h 40min	ჭიქა-საინი, დანები, ჩანგლები, კოვზები, ქვაბები, ტაფები	ნორმალურიდან ძლიერამდე, შემშრალი	<ul style="list-style-type: none"> <li>წინასწარი რეცხვა</li> <li>ჭურჭლის რეცხვა 60 °C</li> <li>შუალედური გავლება</li> <li>საბოლოო გავლება 60 °C</li> <li>გაშრობა</li> <li>AirDry <b>1)</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ExtraPower</li> <li>GlassCare</li> <li>ExtraHygiene</li> </ul>
ECO	ჭიქა-საინი, დანები, ჩანგლები, კოვზები, ქვაბები, ტაფები	ნორმალური	<ul style="list-style-type: none"> <li>წინასწარი რეცხვა</li> <li>ჭურჭლის რეცხვა 60 °C</li> <li>შუალედური გავლება</li> <li>საბოლოო გავლება 60 °C</li> <li>გაშრობა</li> <li>AirDry <b>1)</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ExtraPower</li> <li>GlassCare</li> <li>ExtraHygiene</li> </ul>
AUTO Sense	ჭიქა-საინი, დანები, ჩანგლები, კოვზები, ქვაბები, ტაფები	ყველაფერი	<ul style="list-style-type: none"> <li>წინასწარი რეცხვა</li> <li>ჭურჭლის რეცხვა 50 - 60 °C</li> <li>შუალედური გავლება</li> <li>საბოლოო გავლება 60 °C</li> <li>გაშრობა</li> <li>AirDry <b>1)</b></li> </ul>	არ შეესაბამება
Machine Care	მოწყობილობის შიდა სივრცის წმენდა. იხილეთ მოვლა და დასუფთავება.		<ul style="list-style-type: none"> <li>წმენდა 65 °C</li> <li>შუალედური გავლება</li> <li>საბოლოო წყლის გავლება</li> <li>AirDry <b>1)</b></li> </ul>	არ შეესაბამება

1) შრომის ფაზის განმავლობაში კარის ავტომატური გაღება. იხილეთ თავი „ძირითადი პარამეტრები“.

## მოხმარების ღირებულებები

პროგრამა 1)2)	წყალი (ლ)	ენერგია (კვტ/სთ)	ხანგრძლივობა (წთ)
Quick	9.1	0.531	30

პროგრამა 1)2)	წყალი (ლ)	ენერგია (კვტ/სთ)	ხანგრძლივობა (წთ)
წინასწარ წყლის გავლება	5.0	0.010	15
1h	12.9	1.070	60
1h 30min	12.3	1.100	90
2h 40min	11.4	1.030	160
ECO	11.0	0.848	240
AUTO Sense	11.6	1.050	170
Machine Care	9.3	0.520	60

1) წყლის წნევასა და ტემპერატურას, ელექტროენერგიის მიწოდების ცვალებადობას, პარამეტრებს, ჭურჭლის ოდენობას და დაბინძურების ხარისხს შეუძლია მნიშვნელობების შეცვლა.

2) პროგრამის ECO -სგან განსხვავებული მნიშვნელობები, მხოლოდ მითითებითი ხასიათისაა.

### ინფორმაცია ტესტირების დაწესებულებებისთვის:

წარმადობის შემოქმედების შესახებ საჭირო ინფორმაციის მისაღებად (მაგ.: EN60436 თანახმად), ელექტრონული წერილი გაგზავნეთ:

**info.test@dishwasher-production.com**

თქვენს თხოვნაში შეფასების ფირფიტაზე მოცემული პროდუქტის ნომრის კოდი (PNC) მიუთითეთ.

თქვენი ჭურჭლის სარეცხი მანქანის შესახებ ნებისმიერი სხვა კითხვის არსებობის შემთხვევაში, მომსახურების სახელმძღვანელო იხილეთ, რომელიც მოჰყვება თქვენს მოწყობილობას.

## 6. ძირითადი პარამეტრები

მოწყობილობის კონფიგურაციისთვის შეგიძლიათ თქვენი საჭიროებების მიხედვით შეცვალოთ ძირითადი პარამეტრები. აგრეთვე შეგიძლიათ ჭურჭლის რეცხვის დასრულებული ციკლების რაოდენობის ნახვა და ქარხნული პარამეტრების აღდგენა.

ნომერი	პარამეტრი	მნიშვნელობები	აღწერლობა <sup>1)</sup>
1	წყლის სიხისტე	1L - 10L (ნაგულისხმევი: 5L)	დაარეგულირეთ წყლის დამარბილებლის დონე წყლის ადგილობრივი სიხისტის მიხედვით.
2	წყლის გავლების დამხმარე საშუალების დონე	0A - 6A (ნაგულისხმევი: 4A)	დაარეგულირეთ წყლის გავლების დამხმარე საშუალების დონე საჭირო დოზის მიხედვით.
3	დასრულების ხმა	On Off (ნაგულისხმევი)	მოახდინეთ პროგრამის დასრულებისთვის განსაზღვრული აკუსტიკური სიგნალის აქტივაცია ან დეაქტივაცია.
4	კარის ავტომატურად გაღება	On (ნაგულისხმევი) Off	AirDry-ს აქტივაცია ან დეაქტივაცია.


ნომერი	პარამეტრი	მნიშვნელობები	აღწერლობა <sup>1)</sup>
5	ლილაკის ტონები	On (ნაგულისხმევი) Off	მოახდინეთ ლილაკებზე დაჭერისას ხმის აქტივაცია ან დეაქტივაცია.

1) დამატებითი დეტალებისთვის გაცანით ამ თავში მითითებულ ინფორმაციას.

თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ ძირითადი პარამეტრები დაყენების რეჟიმში.

როცა მოწყობილობა დაყენების რეჟიმშია, ECOMETER ზოლები ასახავს ხელმისაწვდომ პარამეტრებს. თითოეული პარამეტრის შემთხვევაში ციმციმებს ECOMETERს შესაბამისი ზოლი.


ცხრილში წარმოდგენილი ძირითადი პარამეტრების თანმიმდევრობა იგივეა, რასაც ასახავს ECOMETER:



## 6.1 დაყენების რეჟიმი

დაყენების რეჟიმში ნავიგაციის წესი

დაყენების რეჟიმში ნავიგაციისთვის გამოიყენეთ MY TIME არჩევის ზოლი.



- A. წინა ლილაკი.
- B. კარგი ლილაკი.
- C. შემდეგი ლილაკი.

გამოიყენეთ „წინა და შემდეგი“ ძირითად პარამეტრებს შორის გადასართავად და მათი მნიშვნელობის შესაცვლელად.

გამოიყენეთ „კარგი არჩეულ პარამეტრში“ შესასვლელად და მისი მნიშვნელობის შეცვლის დასადასტურებლად.

დაყენების რეჟიმში შესასვლელად

დაყენების რეჟიმში შეგიძლიათ შეხვიდეთ პროგრამის დაწყებამდე. დაყენების რეჟიმში ვერ შეხვალთ, როცა პროგრამა ჩართულია.

დაყენების რეჟიმში შესასვლელად

ერთდროულად დააჭირეთ Quick-სა და

ECO-ს დაახლოებით 3 წამის

განმავლობაში.

ნათურები, რომლებსაც უკავშირდება წინა, კარგი და შემდეგი ჩართულია.

პარამეტრის შეცვლის წესი

დარწმუნდით, რომ მოწყობილობა დაყენების რეჟიმშია.

1. გამოიყენეთ „წინა ან შემდეგი“ რომ აირჩიოთ ზოლი, რომელსაც აჩვენებს ECOMETER სასურველი პარამეტრისთვის.

- არჩეული პარამეტრის შესაბამისი ზოლი, რომელსაც აჩვენებს ECOMETER, ციმციმებს.
- ეკრანზე ნაჩვენებია მიმდინარე პარამეტრის მნიშვნელობა.

2. დააჭირეთ ლილაკს „კარგი“ პარამეტრის შესაყვანად.

- არჩეული პარამეტრის შესაბამისი ზოლი, რომელსაც აჩვენებს ECOMETER, ჩართულია. სხვა ზოლები გამორთულია.
- მიმდინარე პარამეტრის მნიშვნელობა ციმციმებს.

3. დააჭირეთ ლილაკს „წინა ან შემდეგი“ მნიშვნელობის შესაცვლელად.

4. დააჭირეთ ლილაკს „კარგი“ პარამეტრის დასადასტურებლად.

- ახალი პარამეტრი შენახულია.
- მოწყობილობა უბრუნდება ძირითადი პარამეტრების სიას.

5. დაყენების რეჟიმიდან რომ გავხიდე, ერთდროულად დააჭირეთ Quick-სა

და ECO-ს დაახლოებით 3 წამის განმავლობაში.

მოწყობილობა უბრუნდება პროგრამის არჩევას.  
შენახული პარამეტრები მოქმედი რჩება, სანამ მათ ხელახლა არ შეცვლით.

### 6.2 ქარხნულ პარამეტრებზე ჩამოყრა

ქარხნულ პარამეტრებზე ჩამოყრა ადღგენს ქარხნულ ნაგულისხმევ პარამეტრებს. იგი ციკლების მრიცხველს ქარხნულ პარამეტრებზე არ აყენებს. ქარხნულ პარამეტრებზე დაბრუნებამდე დარწმუნდით, რომ მოწყობილობა მომხმარებლის რეჟიმშია.

ხანგრძლივად დააჭირეთ წინა-სა და შემდეგი-ს 5 წამის განმავლობაში. ეკრანზე დაახლოებით 5 წამით ჩნდება — მოწყობილობა უბრუნდება პროგრამის არჩევას.

### 6.3 ციკლების მრიცხველი

ჭურჭლის რეცხვის დასრულებული ციკლების რაოდენობის ნახვა ციკლების მრიცხველში შეგიძლიათ.

1. ჭურჭლის სარეცხი მანქანის გასააქტიურებლად ხანგრძლივად დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს.
2. დააჭირეთ ღილაკებს წინა და შემდეგი და გეჭიროთ 5 წამის განმავლობაში. ეკრანზე გამოჩნდება uC და შემდეგ - ციკლების რაოდენობა. ციკლების მრიცხველიდან გასასვლელად, დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს.

### წყლის სიხისტე

გერმანული დონეები (°dH)	ფრანგული დონეები (°fH)	მმოლ/ლ	მგ/ლ (წილი მილიონზე)	კლარკის დონეები	წყლის დამარბილებლის დონე
47 - 50	84 - 90	8.4 - 9.0	835 - 904	58 - 63	10
43 - 46	76 - 83	7.6 - 8.3	755 - 834	53 - 57	9
37 - 42	65 - 75	6.5 - 7.5	645 - 754	46 - 52	8
29 - 36	51 - 64	5.1 - 6.4	505 - 644	36 - 45	7
23 - 28	40 - 50	4.0 - 5.0	395 - 504	28 - 35	6



65535-ის მიღწევისას, ციკლების მრიცხველი თვლას ახლიდან დაიწყებს.

### 6.4 წყლის დამარბილებელი

წყლის დამარბილებელი მოწოდებულ წყალს აცლის მინერალებს, რომლებსაც შეიძლება უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს რეცხვის შედეგებსა და მოწყობილობაზე.

რაც უფრო მაღალია ამ მინერალების შემცველობა, მით უფრო ხისტია წყალი. წყლის სიხისტე შესაბამისი სკალებით იზომება.

წყლის დამარბილებლის დონე უნდა განისაზღვროს წყლის სიხისტის შესაბამისად. რეცხვის მაქსიმალურად ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის და მარილის ინდიკატორის გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია დამარბილებლის დონის სწორად მითითება. მიუხედავად გამოყენებული სარეცხი საშუალების ტიპისა. ადგილობრივ წყალმომარაგების უწყებას შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენს რაიონში წყლის სიხისტისთან დაკავშირებით. ქარხნული პარამეტრებით არჩეული დონეა 5.



მულტი-ტაბლეტები, რომლებიც შეიცავს მარილს, არ არის საკმარისი ხისტი წყლის დასარბილებლად.

გერმანული დონეები (°dH)	ფრანგული დონეები (°fH)	მმოლ/ლ	მგ/ლ (წილი მილიონზე)	კლარკის დონეები	წყლის დამარბილებლის დონე
19 - 22	33 - 39	3.3 - 3.9	325 - 394	23 - 27	5
15 - 18	26 - 32	2.6 - 3.2	255 - 324	18 - 22	4
11 - 14	19 - 25	1.9 - 2.5	185 - 254	13 - 17	3
4 - 10	7 - 18	0.7 - 1.8	70 - 184	5 - 12	2
<4	<7	<0.7	<70	< 5	1

წყლის დამარბილებელი გადის ავტომატური რეგენერაციის პროცესს. 2)

### 6.5 სავლები საშუალების დონე

სავლები საშუალება ჭურჭლის ზოლებისა და ლაქების გარეშე გაშრობას უწყობს ხელს. იგი ცხელი გავლების ფაზის განმავლობაში ავტომატურად გამოთავისუფლდება. შესაძლებელია გავლების დამხმარე საშუალების გამოშვებული ოდენობის განსაზღვრა.

როცა გავლების დამხმარე საშუალების კამერა ცარიელია, გავლების დამხმარე საშუალების მაჩვენებელი ჩართულია და გატყობინებთ, რომ ხელახლა შეავსოთ გავლების დამხმარე საშუალება. თუ შრობის შედეგები მხოლოდ მულტი ტაბლეტების გამოყენების დროს არის დამაკმაყოფილებელი, დისპენსერისა და ინდიკატორის გათიშვა შესაძლებელია. ამის მიუხედავად, გაშრობის საუკეთესო შედეგებისთვის ყოველთვის გამოიყენეთ გავლების დამხმარე საშუალება და დატოვეთ გავლების დამხმარე საშუალების მაჩვენებელი აქტიური.

სავლები საშუალების დისპენსერისა და ინდიკატორის გათიშვისათვის, სავლები საშუალების დონე 0A-ზე დააყენეთ.

### 6.6 დასრულების ხმა

თქვენ შეგიძლიათ გაააქტიუროთ აკუსტიკური სიგნალი, რომელიც გამოსცემს ხმას პროგრამის დასრულებისას.



აკუსტიკური სიგნალები, ასევე, გაისმება მოწყობილობის გაუმართაობის დროს. ამ სიგნალების დეაქტივაცია შეუძლებელია.

### 6.7 AirDry

AirDry აუმჯობესებს გაშრობის შედეგებს. მოწყობილობის კარი ავტომატურად იღება გაშრობის ფაზაში და შედებული რჩება. ამ ფუნქციის გათიშვამ შეიძლება შეაშინოს გაშრობის ეფექტურობა.

AirDry ავტომატურად აქტიურდება ყველა პროგრამის შემთხვევაში. გამონაკლისია წინასწარ წყლის გავლება.

2) წყლის დამარბილებლის სწორი გამოყენებისთვის, დამარბილებელი მოწყობილობის პოლიმერი რეგულარულად უნდა ადღეგს. ეს პროცესი ავტომატურია და ჭურჭლის სარეცხი მანქანის ჩვეულებრივი მუშაობის ნაწილია. რეგენერაციის სიხშირე დამოკიდებულია წყლის დამარბილებლის დონის პარამეტრზე. რაც უფრო მაღალია დონე, მით უფრო ხშირად ხდება რეგენერაცია. მაღალი დონეების არჩევის შემთხვევაში, რეგენერაცია რეცხვის ციკლის მიმდინარეობისას ორჯერ ხდება: რეცხვის ეტაპზე და ბოლო გავლების შემდეგ. დაბალი დონის არჩევის შემთხვევაში, რეგენერაცია მხოლოდ ბოლო გავლების შემდეგ ხდება. დამარბილებლით გავლება ხდება შემდგომი ციკლის დასაწყისში. მაღალი დონის არჩევის შემთხვევაში, ეს პროცესი დამატებით მიმდინარეობს ჭურჭლის რეცხვის ეტაპის დასრულების შემდეგ. დამარბილებლის გავლება სრულდება სრული დრენაჟით. რეგენერაცია ზრდის პროგრამის ხანგრძლივობას მაქსიმუმ 5 წთ-ით, წყლის მოხმარებას მაქსიმუმ 4 ლ-ით ელექტროენერგიის მოხმარებას 2 ვტ/სთ-ით. ამჟამად მოქმედი სტანდარტების ლაბორატორიულ პირობებში, სადაც წყლის სიხისტე არის 2,5 მმოლ/ლ (წყლის დამარბილებლის დონე: 3), რეგენერაცია მოხდება ყოველი 62 ლ წყლის გამოყენების შემდეგ. წყლის ტემპერატურის, წყლის წნევისა და ელექტრომიწოდების ვარიაციების მნიშვნელობები შესაძლოა შეიცვალოს.

შრობის ფაზისა და კარის გაღების დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შერჩეულ პროგრამასა და პარამეტრებზე.

როდესაც AirDry აღებს კარს, ეკრანზე მიმდინარე პროგრამის დარჩენილი დრო აისახება.

**⚠ სიფრთხილე!**

ნუ ეცდებით მოწყობილობის კარის დახურვას ავტომატური გაღებიდან 2 წუთის განმავლობაში. ამან, შესაძლოა, მოწყობილობის დაზიანება გამოიწვიოს.



როდესაც AirDry კარს აღებს, Beam-on-Floor შესაძლოა სრულად ხილვადი არ იყოს. იმისთვის, რომ ნახოთ დასრულდა თუ არა პროგრამა, შეხედეთ მართვის პანელს.

**6.8 ღილაკის ტონები**

მართვის პანელზე არსებული ღილაკები დაწკაპუნების ხმას გამოსცემს, როცა მათ აჭერთ. სურვილისამებრ, შეგიძლიათ ამ ხმის დეაქტივირება.

**7. პირველად გამოყენებამდე**

1. დაარეგულირეთ წყლის დამარბილებლის დონე თქვენთვის მოწოდებული წყლის სიხისტის მიხედვით.
2. შეავსეთ მარილის კონტეინერი.
3. შეავსეთ გავლების საშუალების დისპენსერი.
4. მოუშვით წყლის ონკანი.
5. გაუშვით Quick პროგრამა სარეცხი საშუალებით, რათა მოაცილოთ წარმოების პროცესის დროს დარჩენილი ნებისმიერი ნარჩენი. არ ჩააწყოთ ჭურჭელი კალათებში.

პროგრამის დაწყების შემდეგ, მოწყობილობა წყლის დამარბილებელში პოლიმერს განაახლებს და ეს პროცესი დაახლოებით 5 წუთამდე გაგრძელდება. რეცხვის ფაზა დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული პროცედურა დასრულდება. ეს პროცედურა პერიოდულად განმეორდება.

**7.1 მარილის კონტეინერი**

**⚠ სიფრთხილე!**

გამოიყენეთ მხოლოდ ჭურჭლის სარეცხი მანქანებისათვის განკუთვნილი რეგენერაციის მარილი. ნუ გამოიყენებთ სუფრის მარილს.


მარილი გამოიყენება წყლის დამარბილებელში პოლიმერების ხელახლა დასამუხტად და ყოველდღიური გამოყენების დროს რეცხვის კარგი შედეგების უზრუნველსაყოფად.

**მარილის კონტეინერის ავსების წესი**




დარწმუნდით, რომ ComfortLift კალათი ცარიელია და ჩაკეტილია აწეულ მდგომარეობაში.

1. შეატრიალეთ მარილის კონტეინერის ხუფი საათის საწინააღმდეგ მიმართულებით და მოხსენით.
2. ჩაასხით 1 ლიტრი წყალი მარილის კონტეინერში (მხოლოდ პირველ ჯერზე).
3. აავსეთ მარილის კონტეინერი ჭურჭლის სარეცხი მანქანის მარილით (გავსებამდე).



4. ფრთხილად შეანჯღრიეთ ძაბრი მისი სახელურით, ბოლო გრანულებიც რომ შიგნით მოხვდეს.
5. მოაშორეთ მარილი მარილის კონტეინერის ღიობიდან.




6. მარილის კონტეინერის დასახურად, შეაბრუნეთ თავსახური საათის ისრის მიმართულებით.

**⚠ სიფრთხილე!**

წყალი და მარილი შეიძლება გამოვიდეს მარილის კონტეინერიდან, როცა მას ავსებთ. კოროზიის თავიდან ასაცილებლად, შეავსეთ მარილის კონტეინერი და შემდეგ, დაუყოვნებლივ დაიწყეთ ჭურჭლის რეცხვის სრული ციკლი სარეცხი საშუალებით.

**7.2 როგორ შევავსოთ სავლები საშუალების დისპენსერი**



**⚠ სიფრთხილე!**

ეს განყოფილება (B) მხოლოდ სავლები საშუალებისთვისაა განკუთვნილი. ნუ შეავსებთ მას სარეცხი საშუალებით.

**⚠ სიფრთხილე!**

გამოიყენეთ მხოლოდ ისეთი სავლები საშუალება, რომელიც სპეციალურად ჭურჭლის სარეცხი მანქანებისთვისაა შექმნილი.

1. გახსენით თავსახური (C).
2. შეავსეთ დისპენსერი (B) იქამდე, სანამ სავლები საშუალება მიაღწევს მონიშვნას "MAX".
3. დაღვრილი სავლები საშუალება შეწოვის უნარის მქონე ქსოვილით მოაშორეთ, რათა თავიდან აიცილოთ ზედმეტი ქაფის წარმოქმნა.
4. დახურეთ თავსახური. დარწმუნდით, რომ თავსახური პოზიციამი მყარად ზის.



სავლები საშუალების დისპენსერი შეავსეთ მაშინ, როდესაც (A) ინდიკატორი გამოირთვება.

**8. ყოველდღიური გამოყენება**

1. მოუშვით წყლის ონკანი.
2. ხანგრძლივად დააჭირეთ ①-ს, სანამ მოწყობილობა არ გააქტიურდება.
3. ავსეთ მარილის კონტეინერი, თუ ის ცარიელია.
4. ავსეთ გავლების დამხმარი საშუალების მარიგებელი კოლოფი, თუ ის ცარიელია.
5. ჩატვირთეთ კალათები.
6. დამატეთ სარეცხი საშუალება.
7. აირჩიეთ და დაიწყეთ პროგრამა.
8. დაკეტეთ ონკანი, როცა პროგრამა დასრულდება.

## 8.1 ComfortLift

### ⚠ სიფრთხილე!

არ დაჯდეთ სადგარზე და არ მოახდინოთ კალათის ზედმეტი დატვირთვა.

### ⚠ სიფრთხილე!

ნუ გადაჭარბებთ მაქსიმალურ 18 კილოგრამიან დატვირთვას.


### ⚠ სიფრთხილე!

დარწმუნდით, რომ ნივთები კალათის ჩარჩოდან არ არის გადმოშვერილი, რადგან ამან, როგორც ნივთები, ასევე ComfortLift მექანიზმი შეიძლება დააზიანოს.

ComfortLift მექანიზმი საშუალებას გაძლევთ ქვედა კალათი აწიოთ (მეორე კალათის დონეზე) და კვლავ ჩამოსწიოთ, რათა ჭურჭლის ჩატვირთვა და დაცლა მარტივად მოხდეს.

ქვედა კალათის დასატვირთად ან დასაცლელად:


1. კალათი აწიეთ მასზე დამაგრებული სახელურის გამოყენებით და მთლიანად გამოსწიეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანიდან. სასხლეტი სახელური არ უნდა იქნას გამოყენებული.



კალათი ავტომატურად იკეტება ზედა დონეზე.

2. საგნები კალათაში ფრთხილად მოათავსეთ ან ამოიღეთ (იხილეთ კალათის დატვირთვის ფლაიერი).
3. კალათის დასაწევად, დააკავშირეთ სასხლეტი სახელური კალათის ჩარჩოსთან, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები. მთლიანად აწიეთ

სასხლეტი სახელური და ოდნავ აწიეთ კალათის სახელური, სანამ კალათი ორივე მხრიდან არ მოიხსნება.




როდესაც კალათი ჩაიხსნება, თაროს ქვემოთ დააწეეთ. მექანიზმი, ქვედა დონეზე, თავის ნაგულისხმევ პოზიციაში ბრუნდება.

დატვირთვის შესაბამისად, კალათის დაწევის ორი გზა არსებობს:

- თუ მთლიანად დატვირთულია თეფშებით, კალათას ქვემოთ ოდნავ დააწეეთ.
- თუ კალათი ცარიელია ან ნახევრად დატვირთულია, დააწეეთ მას ქვემოთ.

## 8.2 სარეცხი საშუალების გამოყენება



### ⚠ სიფრთხილე!

გამოიყენეთ მხოლოდ ისეთი სარეცხი საშუალება, რომელიც სპეციალურად ჭურჭლის სარეცხი მანქანებისთვისაა შექმნილი.

1. თავსახურის გასახსნელად (A) დააწეეთ გაღების ლილავს (C).

2. განყოფილებაში (B) მოათავსეთ სარეცნი საშუალება (გელი, ფხვნილის ან ტაბლეტები).
3. თუ პროგრამას აქვს წინასწარი რეცხვის ფაზა, მოწყობილობის კარის შიდა ნაწილში მცირე ოდენობის სარეცნი საშუალებამოათავსეთ.
4. დახურეთ თავსახური. დარწმუნდით, რომ თავსახური პოზიციაში მყარად ზის.

**i**  
სარეცნი საშუალების დოზირების შესახებ ინფორმაციისათვის, პროდუქტის შეფუთვაზე იხილეთ მწარმოებლის ინსტრუქციები. როგორც წესი, საშუალო დაბინძურების ჩატვირთვის გასარეცხად 20 - 25 მლ გელის ფორმის სარეცნი საშუალება საკმარისია.

**i**  
განყოფილების (B) შიგნით ორი ვერტიკალური წიბოს ზედა ბოლოები დისპენსერის გელის მაქსიმალურ დონეს (მაქს. 30 მლ) მიუთითებს.

### 8.3 არჩევის ზოლის „MY TIME“ გამოყენებით პროგრამის არჩევისა და დაწყების წესი

1. გადაუსვით თითი არჩევის ზოლს „MY TIME“, რომ აირჩიოთ შესაფერისი პროგრამა.
  - ჩაირთვება არჩეულ პროგრამასთან დაკავშირებული ნათურა.
  - ECOMETER მიუთითებს ენერგიისა და წყლის მოხმარების დონეზე.
  - დისპლეიზე ნაჩვენებია პროგრამის ხანგრძლივობა.
2. სურვილისამებრ, გაააქტიურეთ შესაბამისი EXTRAS.
3. პროგრამის ჩასართავად დახურეთ მოწყობილობის კარი.

### 8.4 პროგრამის არჩევისა და დაწყების წესი წინასწარ წყლის გავლება

1. ასარჩევად წინასწარ წყლის გავლება, ხანგრძლივად დააჭირეთ Quick-ს 3 წამის განმავლობაში.
  - ჩაირთვება ღილაკთან დაკავშირებული ნათურა.
  - ECOMETER გამორთულია.
  - დისპლეიზე ნაჩვენებია პროგრამის ხანგრძლივობა.
2. პროგრამის ჩასართავად დახურეთ მოწყობილობის კარი.

### 8.5 გააქტიურების წესი EXTRAS

ოფციონები ყოველ ჯერზე, პროგრამის დაწყებამდე უნდა გააქტიურდეს. პროგრამის გაშვების დროს ვარიანტების აქტივაცია ან დეაქტივაცია შეუძლებელია. ყველა ვარიანტი არ არის ერთმანეთთან თავსებადი.

1. აირჩიეთ პროგრამა არჩევის ზოლით MY TIME.
2. დააჭირეთ იმ ვარიანტის შესაბამის ღილაკს, რომლის გააქტიურებაც გსურთ.
  - ჩაირთვება ღილაკთან დაკავშირებული ნათურა.
  - ECOMETER და პროგრამის ხანგრძლივობა ახლდება.


**i**  
ვარიანტების ხშირად გააქტიურება ზრდის წყლის მოხმარებას, ენერგიის მოხმარებას და პროგრამის ხანგრძლივობას.

### 8.6 როგორ დაიწყოთ პროგრამა AUTO Sense


1. დააჭირეთ ღილაკს <sup>AUTO</sup> Sense .
  - ჩაირთვება ღილაკთან დაკავშირებული ნათურა.
  - დისპლეიზე გამოჩნდება პროგრამის ყველაზე დიდი შესაძლო ხანგრძლივობა.
2. პროგრამის დასაწყებად დახურეთ მოწყობილობის კარი.


მოწყობილობა აღიქვამს დატვირთვის ტიპს და არეგულირებს შესაფერის რეცხვის ციკლს. ციკლის განმავლობაში სენსორები რამდენჯერმე მუშაობს და პროგრამის თავდაპირველი ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს.

### 8.7 პროგრამის დაწყების დაყოვნების წესი


1. აირჩიეთ პროგრამა.
2. დააჭირეთ -ს რამდენჯერმე, სანამ ეკრანზე არ გამოჩნდება დაყოვნების სასურველი დრო (1-დან 24-საათამდე). ჩაირთვება დილაკთან დაკავშირებული ნათურა.
3. უკუთვლის დასაწყებად მოწყობილობის კარი დახურეთ.  
უკუთვლის განმავლობაში დაყოვნების დროსა და პროგრამის არჩევის შეცვლას ვერ შეძლებთ.  
უკუთვლის დასრულებისას პროგრამა იწყება ავტომატურად.


### 8.8 უკუთვლის მოქმედების დროს დაწყების დაყოვნების გაუქმების წესი

ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკს  დაახლოებით 3 წამის განმავლობაში. მოწყობილობა უბრუნდება პროგრამის არჩევას.

 დაწყების დაყოვნების გაუქმების შემთხვევაში პროგრამა ხელახლა უნდა აირჩიოს.


### 8.9 გაშვებული პროგრამის გაუქმების წესი


ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკს  დაახლოებით 3 წამის განმავლობაში. მოწყობილობა უბრუნდება პროგრამის არჩევას.

 ახალი პროგრამის დაწყებამდე დაარწმუნდით, რომ სარეცხი საშუალების დისპენსერში ნამდვილად არის სარეცხი საშუალება.

### 8.10 მოწყობილობის მუშაობისას კარის გაღება

პროგრამის მიმდინარეობისას კარის გაღება რეცხვის ციკლს დააპაუზებს. დისპლეიზე პროგრამის დარჩენილი ხანგრძლივობა აისახება. კარის დახურვის შემდეგ, რეცხვის ციკლი შეწყვეტის მომენტიდან განახლდება.  
თუ დაყოვნებული გაშვების უკუთვლისას კარი გაიღება, უკუთვლა შეჩერდება. დისპლეიზე გამოჩნდება მიმდინარე უკუთვლის სტატუსი. კარის დახურვის შემდეგ, უკუთვლა განახლდება.

 მოწყობილობის მუშაობისას კარის გახსნამ შესაძლოა ენერგომომხმარებასა და პროგრამის ხანგრძლივობაზე იმოქმედოს.

 თუ შრობის ფაზაში კარი 30 წამზე მეტი ხნითაა ღია, მიმდინარე პროგრამა დასრულდება. ეს არ მოხდება, თუ კარი ფუნქციით AirDry გაიღება.

### 8.11 Auto Off ფუნქცია

ეს ფუნქცია ზოგადად ენერგიას, რადგან თიშავს მოწყობილობას, როცა ის არ მუშაობს.  
ფუნქცია ავტომატურად აქტიურდება:  
• როდესაც პროგრამა დასრულდება.  
• 5 წუთის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას არ გაუშვებთ.

### 8.12 პროგრამის დასასრული

პროგრამის დასრულების შემდეგ ეკრანზე გამოისახება **0:00**.

## 9. მინიშნებები და რჩევები

### 9.1 ზოგადი

მიჰყევით ქვემოთ მოცემულ მინიშნებებს, რომ უზრუნველყოფთ ოპტიმალური წმენდისა და შრობის შედეგები ყოველდღიური გამოყენებისას და დაიცვათ გარემო.

- მომხმარებლის სახელმძღვანელოში მოცემული მითითებების შესაბამისად ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჭურჭლის გარეცხვა ნაკლებად წყალსა და ენერჯის მოხმარს, ვიდრე ჭურჭლის ხელით რეცხვა.
- წყალი და ენერჯია რომ დაზოგოთ, აავსეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა ბოლომდე. წმენდის საუკეთესო შედეგებისთვის დაალაგეთ ნივთები კალათებში მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესით და არ გადატვირთოთ კალათები.
- არ გაავლოთ წყალი ჭურჭელს წინასწარ ხელით. ეს ზრდის წყლისა და ენერჯის მოხმარებას. საჭიროებისამებრ, აირჩიეთ პროგრამა წინასწარ რეცხვის ფაზით.
- მოამორეთ ჭურჭელს საჭმლის შედარებით დიდი ზომის ნარჩენები და დაცალეთ ჭიქები მოწყობილობაში ჩალაგებამდე.
- დარწმუნდით, რომ კალათებში არაფერი ეხება ან ფარავს ერთმანეთს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მისწვდება წყალი და გარეცხავს ჭურჭელს.
- აირჩიეთ პროგრამა დატვირთვის ტიპისა და ჭურჭლის ხარისხის მიხედვით. ECO გთავაზობთ წყლისა და ენერჯის ყველაზე ეფექტურ გამოყენებას.
- მოწყობილობის შიგნით კირქვული ნაღების თავიდან ასაცილებლად:
  - ხელახლა შეავსეთ მარილის კონტეინერი საჭიროებისამებრ.
  - გამოიყენეთ სარეცხი საშუალება და გავლების დამხმარე საშუალება რეკომენდებული დოზით.

- დარწმუნდით, რომ წყლის დამარილებლის არსებული დონე მოწოდებული წყლის სიხისტეს შეესაბამება.
- მიჰყევით თავში „მოვლა და დასუფთავება“ მოცემულ ინსტრუქციებს.

### 9.2 მარილის, გავლების დამხმარე საშუალებისა და სარეცხი საშუალების გამოყენება

- გამოიყენეთ მხოლოდ ჭურჭლის სარეცხი საშუალებისთვის განკუთვნილი მარილი, გავლების დამხმარე საშუალება და სარეცხი საშუალება. სხვა პროდუქტებმა შეიძლება მოწყობილობა დააზიანოს.
- ხისტე და ძალიან ხისტი წყლის პირობებში წმენდისა და გამშრალების ოპტიმალური შედეგების მისაღებად გირჩევთ ცალ-ცალკე გამოიყენოთ საბაზისო ჭურჭლის სარეცხი საშუალება (ფხვნილი, გელი, ტაბლეტები, რომლებიც არ შეიცავს დამატებით აგენტებს), გავლების დამხმარე საშუალება და მარილი.
- სარეცხი საშუალებების ტაბლეტი მთლიანად არ იხსნება წყალში მოკლე პროგრამების მეშვეობით. ჭურჭელზე სარეცხი საშუალების ნარჩენები რომ არ დარჩეს, გირჩევთ ტაბლეტები გამოიყენოთ გრძელი პროგრამების შემთხვევაში.
- ყოველთვის გამოიყენეთ სარეცხი საშუალების სწორი ოდენობა. არასაკმარისმა დოზამ შეიძლება გამოიწვიოს წმენდის ცუდი შედეგები, ნივთების ხისტე წყლის ფენით დაფარვა ან მათზე ლაქების გაჩენა. რბილ ან დარბილებულ წყალთან შედარებულ დიდი ოდენობით სარეცხი საშუალების გამოყენების შედეგად ჭურჭელზე სარეცხი საშუალების ნარჩენები რჩება. დაარეგულირეთ სარეცხი საშუალების ოდენობა წყლის სიხისტის მიხედვით. მიჰყევით

- სარეცხი საშუალების შეფუთვაზე მითითებულ ინსტრუქციას.
- ყოველთვის გამოიყენეთ გავლების დამხმარე საშუალების სწორი ოდენობა. გავლების დამხმარე საშუალების არასაკმარისი დოზა ამცირებს გაშრობის შედეგებს. გავლების დამხმარე საშუალების დოზა ოდენობით გამოყენების შედეგად ნივთებზე მოლოურჯო შრეები რჩება.
- დარწმუნდით, რომ წყლის დამარბილებლის დონე სწორია. თუ დონე ზედმეტად მაღალია, წყალში მარილის გაზრდილი ოდენობის შედეგად, შესაძლოა, ჭურჭელზე ჟანგი დარჩეს.

### 9.3 როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ მულტი-ტაბლეტების გამოყენების შეჩერება გვსურს

სანამ სარეცხი საშუალების, მარილისა და გავლების დამხმარე საშუალების ცალ-ცალკე გამოყენებას დაიწყებთ, შეასრულეთ შემდეგი ნაბიჯები:

1. დააყენეთ წყლის დამარბილებლის უმაღლესი დონე.
2. დარწმუნდით, რომ მარილის და გავლების საშუალების კონტეინერები სავსეა.
3. დაიწყეთ პროგრამა Quick. არ დაამატოთ სარეცხი საშუალება და არ ჩადოთ ჭურჭელი კალათებში.
4. პროგრამის დასრულების შემდეგ დაარეგულირეთ წყლის დამარბილებლის დონე წყლის ადგილობრივი სიხისტის მიხედვით.
5. დაარეგულირეთ გამოთავისუფლებული გავლების საშუალების ოდენობა.

### 9.4 პროგრამის გაშვებამდე

შერჩეული პროგრამის გაშვებამდე დარწმუნდით, რომ:

- ფილტრები მშრალია და სწორადაა დამონტაჟებული.
- მარილის კონტეინერის სახურავი მჭიდროდაა.
- სასხურებელი მკლავები არ არის დაბნული.

- მარილის და გავლების საშუალების (თუ მულტი-ტაბლეტებს არ იყენებთ) ოდენობა საკმარისია.
- კალათებში სავსეა სწორადაა განლაგებული.
- პროგრამა ჩატვირთვის ტიპსა და დაბინძურების ხარისხს შეესაბამება.
- გამოყენებულია სწორი ოდენობის სარეცხი საშუალება.

### 9.5 კალათების ჩატვირთვა

- ყოველთვის გამოიყენეთ კალათების მთლიანი სივრცე.
- მოწყობილობა მხოლოდ ჭურჭლის სარეცხ მანქანასთან თავსებადი საგნების გასარეცხად გამოიყენეთ.
- არ გარეცხოთ მოწყობილობაში ხისგან, რქისგან, ალუმინისგან, კალისა და სპილენძისგან დამზადებული ნივთები, რადგან ისინი შეიძლება გაიბზაროს, დეფორმირდეს, გაუფერულდეს ან ლაქებით დაიფაროს.
- მოწყობილობაში წყლის შემწვავ საგნებს (ღრუბელს, საოჯახო ქსოვილებს) ნუ გარეცხავთ.
- მოათავსეთ ჩაღრმავებული საგნები (ფინჯნები, ჭიქები და ტაფები) ღიობით ქვემოთ.
- დარწმუნდით, რომ მინის ნაკეთობები ერთმანეთს არ ეხება.
- მსუბუქი ნივთები მოათავსეთ ზედა კალათში. დარწმუნდით, რომ საგნები თავისუფლად არ მოძრაობს.
- მჭრელი ინსტრუმენტები და მცირე საგნები მჭრელი ინსტრუმენტებისუჯრაში მოათავსეთ.
- ქვედა კალათში დიდი ნივთების მოსათავსებლად, ზედა კალათი ზემოთ გადაიტანეთ.
- პროგრამის დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ სასხურებლის მკლავები თავისუფლად მოძრაობას შეძლებს.

### 9.6 კალათების დაცლა

1. აცადეთ ჭურჭელს გაგრძობა, სანამ მოწყობილობამ გამოიღებთ. ცხელი ნივთები ადვილად შეიძლება დაზიანდეს.
2. პირველ რიგში, გამოიღეთ ნივთები ქვედა კალათიდან, შემდეგ კი ზედა კალათიდან.



პროგრამის დასრულების შემდეგ, მოწყობილობის შიდა ზედაპირებზე შეიძლება წყალი დარჩეს.

## 10. მოვლა და დასუფთავება

### გარფთხილება!

ნებისმიერი მოვლის ოპერაციამდე, პროგრამის „Machine Care“ ჩართვის გარდა, გათიშეთ მოწყობილობა და გამორთეთ ელექტროჩანგალი შტეფსელიდან.



დარწმუნდით, რომ ComfortLift კალათი ცარიელია და ჩაკეტილია აწეულ მდგომარეობაში.



ჭუჭყიანი ფილტრები და გაჭედული სასხურებელი ბერკეტები უარყოფით გავლენას ახდენს რეცხვის შედეგებზე. შეამოწმეთ ეს ელემენტები რეგულარულად და, საჭიროებისამებრ, გაასუფთავეთ ისინი.

### 10.1 Machine Care

Machine Care არის პროგრამა, რომელიც შექმნილია მოწყობილობის შიდა ნაწილის გასაწმენდად ოპტიმალური შედეგებით. იგი აშორებს ნადებისა და ცხიმის გროვას.

როცა მოწყობილობა გასუფთავების საჭიროებას აღიქვამს, ირთვება . დაიწყეთ Machine Care პროგრამა მოწყობილობის შიდა ნაწილის გასასუფთავებლად.

როგორ დაიწყეთ პროგრამა Machine Care

სანამ დაიწყებთ პროგრამას, გაწმინდეთ ფილტრები და სასხურებელი ბერკეტები.

1. გამოიყენეთ მინადულის მოსაცილებელი ან საწმენდი პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია

სპეციალურად ჭურჭლის სარეცხი მანქანებისთვის. მიჰყევით შეფუთვაზე მითითებულ ინსტრუქციას. არ ჩააწყობთ ჭურჭელი კალათებში.

2. ხანგრძლივად დააჭირეთ -სა და AUTO Sense -ს 3 წამის განმავლობაში.

ინდიკატორები და ციმციმებს. დისპლეიზე ნაჩვენებია პროგრამის ხანგრძლივობა.

3. პროგრამის ჩასართავად დახურეთ მოწყობილობის კარი. პროგრამის დასრულების შემდეგ ინდიკატორი ითიშება.

### 10.2 შიდა წმენდა

- მოწყობილობის შიდა ნაწილი რბილი ნოტიო ტილოთი გაწმინდეთ.
- ნუ გამოიყენებთ აბრაზიულ პროდუქტებს, აბრაზიულ საწმენდ ბალიშებს, ბასრ იარაღებს, ძლიერ ქიმიურ ნივთიერებებს, ჭურჭლის სახეხ სინას ან გამხსნელებს.
- კვირაში ერთხელ გაწმინდეთ კარი, მათ შორის რეზინის შუასადები.
